ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N 25

25.01.2019 *ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2*

12:00 საათი *საკრებულოს ბიუროს სხდომათა დარბაზი*

მიმდინარე წლის 25 იანვარს, 12:00 საათზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: გიორგი ჩაკვეტაძე (კომისიის თავმჯდომარე), ლევან ჯაფარიძე (კომისიის წევრი), დავით ჭელიძე (კომისიის წევრი), დავით რურუა (კომისიის წევრი), ავთანდილ ცინცაძე (კომისიის წევრი) და შალვა ოგბაიძე (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი ირაკლი გვილავა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების უფროსი გოგი ჩიქოვანი და საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 6 (ექვსი) წევრის დასწრებით.

სხდომას თავმჯდომარეობდა - გიორგი ჩაკვეტაძე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (22.01.2019, 12-031902271-03) - (მომხსენებელი - ირაკლი გვილავა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი).
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენა (საანგარიშო პერიოდი 2018 წელი). (მომხსენებელი - (მომხსენებელი - ირაკლი გვილავა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი)

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ , კერძოდ 2019 წლის ბიუჯეტში სპორტის მიმართულებით დამატებით 700.0 ათასი ლარის გამოყოფის თაობაზე ინფორმაცია კომისიას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსმა, ირაკლი გვილავამ წარუდგინა.

ირაკლი გვილავა - სპორტული ღონისძიებების (კოდი 08 06 01) ქვეპროგრამის ასიგნებები - 700.0 ათასი ლარით იზრდება. მათ შორის ახალგაზრდული სპორტული ფესტივალის, კალათბურთში ევროპისა და ღია ჩემპიონატების ჩასატარებლად.

მიმდინარე წელს დაგეგმილია სამი ძირითადი ღონისძიება: ერთი ეროვნული მნიშვნელობის, მეორე საერთაშორისო, ხოლო მესამეს ოლიმპიური კომიტეტი განახორციელებს და ჩვენ თბილისის ნაწილში ფინანსურად მხარს დავუჭერთ. ეს იქნება ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი და იმ სტანდარტებით ჩატარდება, რა სტანდარტებითაც „ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი თბილისი 2015“ ჩატარდა. ეს სამი დიდი ღონისძიებაა ძირითადად წარმოდგენილი, ცვლილების შედეგად სპორტული ღონისძიებები ქვეპროგრამის (კოდი 08 06 01) ასიგნებები, მთლიანობაში, წარმოდგენილია 2 668,7 ათასი ლარით, აღნიშნული თანხის დამატებით თითქმის შეივსო ის დანაკლისი, რაც სპორტული ღონისძიებების ნაწილში იყო.

აზრი გამოთქვეს:

გიორგი ჩაკვეტაძე (კომისიის თავმჯდომარე) – წარმოდგენილი პროექტით 2019 წლის დედაქალაქის ბიუჯეტი მთლიანი მოცულობა იზრდება 72 650,3 ათასი ლარით და შეადგენს 1 000 281,8 ათას ლარს.

პროექტით იზრდება ისეთი მნიშვნელოვანი პროგრამები, როგორიცაა გზების მშენებლობა და აღდგენა, ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია, კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებები დიდუბის რაიონში და პრიორიტეტი კულტურა სპორტი და ახალგაზრდობა.

700.0 ათასი ლარით იზრდება სპორტულ ღონისძიებები, რაც მისასალმებელია, ვინაიდან 2018 წელთან შედარებით იყო მილიონ ლარზე მეტით კლება. ნაწილობრივ ეს დანაკლისი შეივსო და ცვლილებებით, დარჩენილი თანხაც ნელ-ნელა დაბალანსდება. მნიშვნელოვანია, რომ წარმოდგენილ 2019 წლის ბიუჯეტის ცვლილებაში გათვალისწინებულია კომისიის წინადადება/რეკომენდაცია.

დადგენილების პროექტით, სპორტის განვითარების ხელშეწყობისა (კოდი 08 06) და ახალგაზრდული ღონისძიებების (კოდი 08 08) პროგრამები/ქვეპროგრამებისთვის, საქალაქო სამსახურის ბიუჯეტისთვის, მთლიანობაში, გათვალისწინებულია 19 157.0 ათასი ლარი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ,,ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (22.01.2019, 12-031902271-03) - (მომხრე - გიორგი ჩაკვეტაძე, ლევან ჯაფარიძე, დავით ჭელიძე, ავთანდილ ცინცაძე, დავით რურუა, შალვა ოგბაიძე - (6), წინააღმდეგი - (0), თავი შეიკავა - (0)).

ქ. თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ერთხმად მხარი დაუჭირა:

„ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ,,ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს და გადაწყვიტა საკითხის გატანა საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების: „სპორტული ღონისძიებები“ (კოდი: 08 06 01), „მწვრთნელთა მხარდაჭერა“ (კოდი: 08 06 02), „სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქცია“ (კოდი: 08 06 03), „სპორტული დაწესებულებების მატერიალურ–ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება მშენებლობა“ (კოდი: 08 06 04), „წარმატებული სპორტსმენი ბავშვების წახალისება“ (კოდი: 08 06 05), „პარასპორტის განვითარების ხელშეწყობა“ (კოდი: 08 06 06), „ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა“ (კოდი: 08 08 01), „თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანება“ (კოდი: 08 08 02), ა(ა)იპ "მოსწავლე ახალგაზრდობის სახლების გაერთიანება" სკოლისგარეშე საგანმნათლებლო საქმიანობა (კოდი: 08 08 03) ფარგლებში, 2018 წელს განხორციელებული ახალგაზრდული და სპორტული აქტივობების შესახებ ინფორმაცია კომისიას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, კულტურის , განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსმა, ირაკლი გვილავამ და განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების უფროსმა, გოგი ჩიქოვანმა წარუდგინეს.

ირაკლი გვილავა – მოგახსენებთ, სპორტის და ახალგაზრდული მიმართულებით 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ ინფორმაცის:
სპორტის მიმართულება:
08 06 01 სპორტული ღონისძიებები - გეგმა - 3 394 475 ლარი, ხარჯი - 3 386 255 ლარი, შესრულება - 99,76%; 08 06 02 მწვრთნელთა მხარდაჭერა - გეგმა - 2 252 500 ლარი, ხარჯი - 2 250 625 ლარი, შესრულება - 99.92%; 08 06 03 სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქცია - გეგმა - 20 000 ლარი, ხარჯი - 14 250, შესრულება 71,25%; 08 06 04 სპორტული დაწესებულებების მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა - გეგმა - 4 735 940, ხარჯი - 3 811 476 ლარი, შესრულება - 80, 48%; 08 06 05 წარმატებული სპორტსმენი ბავშვების წახალისება - გეგმა - 353 375 ლარი, ხარჯი - 352 250 ლარი, შესრულება - 99,68%; 08 06 06 პარასპორტის განვითარების ხელშეწყობა

- გეგმა - 1 148 500 ლარი, ხარჯი - 1 080 625 ლარი, შესრულება - 94,09%; სულ - გეგმა - 11 904 790 ლარი, ხარჯი - 10 895 481 ლარი, შესრულება - 91,52%.

ახალგაზრდული მიმართულება:

08 08 01 ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა 2018 წლის ბიუჯეტის გეგმა – 1 219 300 ლარი; ხარჯი - 1 179 277 ლარი, სხვაობა - 40 023 ლარი, შესრულება - 96.72%; 08 08 02 ა(ა)იპ თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანება 2018 წლის ბიუჯეტის გეგმა - 744 940 ლარი; ხარჯი - 726 953 ლარი, სხვაობა - 17 987 ლარი, შესრულება - 97.59%.

2018 წელს განხორციელდა შემდეგი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები.

წყნეთში სრულდება სპორტული კომპლექსი, 24-საათიან რეჟიმში მიმდინარეობს სამუშაოები, კლიმატური პირობების გამო მშენებლობა შეყოვნდა, თუმცა ვვარაუდობთ, რომ პირველ კვარტალში, დაახლოებით თებერვლის ბოლოს დასრულდება მშენებლობა/აღჭურვა და წყნეთში, პირველად გაიხსნება კარგი სპორტული კომპლექსი.

გარდა ამისა, ორი მულტიფუნქციური ცენტრის პროექტი სამხარაულის ბიუროში ექსპერტიზაზეა გადაგზავნილი, ვცდილობთ მაქსიმალურად დავაჩქაროთ პროცესი, რომ ამ პროექტების მიხედვით დავიწყოთ სამშენებლო სამუშაოები.

ვარკეთილში არის ჭიდაობის დარბაზი, რომელიც საკრებულოს თავმჯდომარესთან, გიორგი ტყემალაძესთან ერთად მოვინახულეთ. არის ძალიან მძიმე მდგომარეობაში, ამ ეტაპზე მიმდინარეობს ტექნიკურ დავალებაზე მუშაობა, რომ შემდგომ გამოვაცხადოთ ტენდერი. გვინდა, რომ ლილოში დავამატოთ პატარა საცურაო აუზიც, ვინაიდან არსებობს ტერიტორია, რომელიც ქმნის ამის შესაძლებლობას და მალე გამოცხადდება ტენდერი.

რაც შეეხება თემქის და სხვა ახალ ობიექტებს, ერთადერთი რაც აყოვნებს მუშაობას ზამთრის სეზონია და გავრცელებული ვირუსების გამო მოიკლო მომხმარებელთა რიცხვმა. თუმცა, ვფიქრობთ, რომ იანვრის ბოლოდან ბენეფიციართა რაოდენობა კვლავ გაიზრდება. ამ ეტაპზე, ცენტრს აქვს დაახლოებით 60% დატვირთვა.

ასევე, სპორტის აკადემიასთან ერთად ვიწყებთ მწვრთნელთა გადამზადებას, ყველა მწვრთნელს ექნება ბავშვებთან მუშაობის და დამატებით სხვა კომპონენტების საბაზისო ცოდნა. კურსის ბოლოს გადაეცემათ სერტიფიკატები.

2018 წელს ჩატარდა სხვადასხვა მასობრივი ღონისძიებები, მაგალითად როგორიცაა გარბენი „თბილისი“ ფესტივალი „თბი-ლისი“ ლისის ტბაზე და ა. შ. ვგეგმავთ, რომ 2019 წელს მსგავსი მასობრივი ღონისძიებები ჩავშალოთ რაიონებში და გამგეობებთან ერთად განვახორციელოთ. ერთობლივად გავინაწილებთ ცენტრალურ სკვერებს. ღონისძიებებში უნივერსიტეტებიც მაქსიმალურად ჩაერთვებიან. ამ ეტაპზე მიმდინარეობს აღნიშნულ პროექტზე მუშაობა.

გოგი ჩიქოვანი - 2018 წელს პრიორიტეტი იყო მასობრივი ახალგაზრდული ღონისძიებების ჩატარება. გარდა ამისა, ჩატარდა ლაშქრობები, ბანაკები, საჯომარდო ტურები, რომელშიც ჩართული იყო 3000 -ზე მეტი ახალგაზრდა.

თბილისის სტუდენტური ფესტივალი, რომელშიც მონაწილეობდა 30-მდე უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები. უნივერსიტეტებს შორის ტარდებოდა სხვადასხვა სპორტული და კულტურული შეჯიბრებები. იყო სპორტის 6 სახეობა და თეატრალურ-კულტურული ნაწილი. წელს ასევე, დაემატება საგანმანათლებლო კომპონენტი.

რაც შეეხება ინფრასტრუქტურის ნაწილს, 9 რაიონში გვაქვს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლები. გავაკეთეთ ჩუღურეთის ფილიალის რეაბილიტაცია. წელს ვიწყებთ სამგორის ფილიალის რეაბილიტაციას. ცენტრებს აქვთ როგორც სპორტული დარბაზები, ასევე არაფორმალური განათლების მიმართულებით სატრენინგო და საკონფერენციო სივრცეები. გვინდა რომ ეს ცენტრები არ იყოს მხოლოდ სერვისის მიმწოდებელი და ვაქციოთ ახალგაზრდულ საჯარო სივრცეებად, რომელთა გამოყენებას სხვდასხვა ახალგაზრდული ორგანიზაციებიც შეძლებენ.

2018 წელს დონორებისგან მივიღეთ დაფინანსება დაახლოებით 150 000 ათასი ევრო ერასმუსის პროგრამის ფარგლებში. ამ დაფინანსების ფარგლებში თბილისში პირველად ჩატარდება ახალგაზრდობის მიმართულებით კვლევა, როგორც სერვისების ისე ინფრასტრუქტურის კუთხით. აღნიშნული კვლევის გამოყენება შეეძლებათ გამგეობებსაც და სხვა სამსახურებსაც, რომ პროექტების დაგეგმვის ნაწილში მაქსიმალურად გაითვალისწინონ დაფიქსირებული საჭიროებები და გამოწვევები.

ახალგაზრდული ცენტრების მიმართულებითაც ბევრი საინტერესო ახალგაზრდული პროექტი ხორციელდება. მათ შორის: არაფორმალური განათლების პროგრამა 18 - დან 29 წლამდე ახალგაზრდებისათვის, რომელიც მოიცავს ტრენინგებს სხვადასხვა მიმართულებით. ტრენინგები იგეგმება ახალგაზრდების გამოკითხვის საფუძველზე.

გარდა ამისა, ვახორციელებთ პროგრამას „მერიასთან ერთად“ რომლის ფარგლებში შეძენილი გვაქვს ინვენტარი: საჯომარდო ნავები, კარვები, ველოსიპედები, რომლებსაც იყენებენ ახალგაზრდული ჯგუფები მთელი წლის განმავლობაში. პროგრამის ადმინისტრირება ხორციელდება ელექტრონულად.

ასევე, ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის მიმართულებით გვაქვს დაფინანსების მექანიზმი და 2018 წლის განმავლობაში დავაფინანსეთ 75-ზე მეტი ინიციატივა.

2018 წელს პირველად განხორციელდა გრაფიტის მიმართულება, რაც საკმაოდ მოთხოვნადია და ერთი მხრივ ახალგაზრდა მხატვრების შემოქმედების წარმოჩენას უწყობს ხელს, მეორე მხრივ ქალაქის იერსახის გაუმჯობესებას. ზუსტად ამ მიმართულებით შეიქმნა პლატფორმა, სადაც გაწევრიანებულია 100-მდე ახალგაზრდა მხატვარი. მოვიძიეთ დამატებით სპონსორები. აღნიშნული კომპანიები ეხმარებიან მხატვრებს მასალებით. სამომავლოდ მიწისქვეშა გადასასვლელების გარდა მოვიცავთ ქუჩებსაც.

დავამატეთ ქუჩის მუსიკის მიმართულებაც. შექმნილია ქუჩის მუსიკოსებისა და ახალგაზრდა დამწყები ბენდების ასოციაცია. ჯამში 200-მდე მუსიკოსია გაწევრიანებული. 2018 წელს ჩატარდა ფესტივალი და წელსაც ვგეგმავთ ამ მიმართულებით გააქტიურებას.

2019 წელს ვგეგმავთ, როგორც გითხარით მასობრივი ღონისძიებების ჩატარებას რაიონებში, უფრო მჭიდრო კომუნიკაცია გვექნება გამგეობებთან, უნივერსიტეტების კულტურულ და ახალგაზრდულ ცენტრებთან, სკოლებთან და ასევე, პროფესიულ კოლეჯებთან.

აზრი გამოთქვეს:

დავით რურუა (კომისიის წევრი) – ვფიქრობ, მულტიფუნქციური ცენტრების პროექტი ყველაზე მნიშვნელოვანია და დედაქალაქის მოსახლეობისთვის კარგ შესაძლებლობებს შექმნის.

რაც შეეხება გლდანი-ნაძალადევის კომპლექსურ ცენტრს, კარგი იქნება მომხმარებელთა მოზიდვის მიზნით ინფორმაცია მიაწოდოთ ახლომდებარე საჯარო სკოლების დირექტორებს.

ავთანდილ ცინცაძე (კომისიის წევრი) – 2018 წელს მწვრთნელებს მატერიალური წახალისება ზაფხულის განმავლობაში შეჩერებული ჰქონდათ და წელსაც ამ პრინციპით იქნება თუ არა.

ლევან ჯაფარიძე (კომისიის წევრი) – მასობრივი ღონისძიებებისთვის ლოკაციები დაკვირვებით უნდა შეირჩეს. შეიძლება ვინმე ფიქრობს, რომ პირობითად რაიმე ღონისძიების ჩასატარებლად ვაკის პარკი შესაბამისი ადგილია, თუმცა ამ დროს იქ მსგავს ღონისძიებაზე ხალხი არ მივიდეს. ამიტომ, ხალხი სადაც უფრო დაესწრება, ისეთი ადგილები უნდა შეირჩეს.

ირაკლი გვილავა (საქალაქო სამსახურის უფროსი) - ინფორმაციას ყველგან ვავრცელებთ, გარდა ამისა მომხმარებელთა მოსაზიდად საერთო ტარიფი 20%-ით შევამცირეთ, ხოლო დღის 7:00 საათიდან 13:00 საათამდე საერთო ტარიფი კიდევ 50%-ით ნახევრდება.

- მწვრთნელთა მხარდაჭერას რაც შეეხება, დაფინანსების წესისი მიხედვით, ზაფხულის სეზონის სპეციფიკიდან გამომდინარე (საზაფხულო არდადეგები) ივლისის და აგვისტოს თვეში მოქმედებს ფინანსური მხარდაჭერის სხვა სისტემა და 2019 წლის ბიუჯეტშიც შესაბამისად არის თანხები გამოყოფილი და ჯერჯერობით ასევე გაგრძელდება.

– ამ ეტაპზე მასობრივი ღონისძიებების პროექტზე მიმდინარეობს მუშაობა, ლოკაციების შერჩევის პროცესში გამგეობების, კულტურის, განათლების და ახალგაზრდული განყოფილებებიც იქნებიან ჩართული. მოგაწვდით ამის შესახებ ინფორმაციას და თქვენც შეგიძლიათ დააფიქსიროთ თქვენი მოსაზრებები აღნიშნულთან დაკავშირებით.

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ცნობად მიიღო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ 2018 წლის განმავლობაში განხორციელებული ახალგაზრდული და სპორტული პროექტების შესახებ ინფორმაცია (დანართი).

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე გიორგი ჩაკვეტაძე